ოქმი:**ო37. 37240612**
თარიღი:**01/03/2024**

# ოქმი N 2

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2024 წელი, 28 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

11.00 -15. 00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ლ. ბიგვავა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და

ტ. აროშიძე;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი; ფრაქციის თავმჯდომარე- მ. ჩხიკვიშვილი; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ნ. ქარჩავა ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, ე. გორდელაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გ. ღურჯუმელიძე, მოადგილეები: ნ. გოლიაძე და ნ. ბოლქვაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 33-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 33 -ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და

ეთიკის კომისიის უხუცესმა წევრმა ე. გორდელაძემ გაანაცხადა, რომ კომისიის თავმჯდომარე პ. კიღურაძე საპატიო მიზეზით ვერ ესწრება საკრებულოს სხდომას და მის ნაცვლად წარმოადგენს კომისიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშს.

**დღის წესრიგი**

7.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

8.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-როგორ აპირებს შესყიდვის ინიციატორი მოქალაქე მიწის ნაკვეთის გამოყენებას? უპასუხეს-საოფლო-სამეურნეო მიზნით.

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს განხორციელებული - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საბიუჯეტო პროგრამის - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მონიტორინგის ეფექტიანობის აუდიტის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი**

**ქეთევან ხომერიკი**

საკითხი მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა -აუდიტის შემოთავაზებული ფორმატი რა პერიოდს მოიცავს? წინა პერიოდში შესაბამისობის აუდიტის რეკომენდაციები თუ იქნა გათვალისწინებული ? უპასუხეს, რომ ეფექტიანობის აუდიტი მემორანდუმით მოიცავს 2021-2023 წლებს, რაც შეეხება წინა პერიოდის აუდიტის რეკომენდაციებს -მისი უმრავლესობა მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინა.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ შიდა აუდიტის სამსახური მოსალოდნელი რისკების აცილების პრევენციას ახდენს, აუდიტის ჩატარების გეგმა დგება წლის დასაწყისში, სამსახური ეწევა მონიტორინგს, მუნიციპალიტეტი საპილოტე პროგრამაშია ჩართული, პირველად ხდება საბიუჯეტო პროგრამების ეფექტიანობის აუდიტრება, მიღებული იქნა გრანტი 800 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდა ინფრასტრუქტურას. მადლობა გადაუხადა აუდიტის სამსახურს გაწეული მუშაობისათვის.

9.4. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**ბექა თოიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

3.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ პროექტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი ახსნა-განმარტებითი ბარათი.

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

10.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთში, ჟღენტის ქუჩა ნ 4-ში (ს/კ 26.26.48.558) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ უძრავი ქონების გადაცემასთან ერთად ასევე გადაეცემა მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტი, რომლის მიხედვითაც იგეგმება სამუშაოების წარმართვა.

საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება მსგავსი პროექტების განხორციელებას, მაგრამ დაბა ნასაკირალშიც არის დანგრევის ქვემდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობა, რომლის პრობლემაც მოსაგვარებელია. მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ მიღებულია სამთავრობო გადაწყვეტილება და მოხდება ყველა ასეთი შენობის დემონტაჟი.

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

11.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

12.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკრებულოს წევრმა დ. მდინარაძემ დასვა შეკითხვა-ნაკვეთზე კერძო პირი ან კომპანია გამოხატავს სამედიცინო დაწესებულების აშენების სურვილს თუ სახელმწიფო? უპასუხეს- კერძო ინიციატივა არის შემოსული.

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი**

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ თუ მერია ისურვებს და შემოიტანს სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის პროექტს-საკრებულო მას მხარს დაუჭერს. მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე მერიას არ მიაჩნია აუცილებლად ასეთი წესის დამტკიცება.

საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემ დასვა საკითხი მოქალაქეების პირად ანგარიშებზე თანხების ჩარიცხვების თაობაზე, უპასუხეს, რომ თანხები ირიცხება სამედიცინო მომსახურებისათვის.

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია**

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა, საკრებულოსა და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები საკრებულოსა და ამომრჩევლებს აბარებენ წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიშებს, რაც შეეხება კონკრეტული სამსახურის ანგარიშს, იგი მნიშვნელოვანია, სანიმუშოა სხვა მუნიციპალიტეტებისათვის, სამსახურის უფროსი პ. ჭყონია გახდა მაღალი რანგის პროფესიონალი, თუმცა ზოგჯერ ადგილი აქვს საკრებულოსათვის მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევებს. მისი წინადადებით გაწეული მუშაობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

11.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი**

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ საინტერესოა კომისიის თავმჯდომარე როგორ აფასებს მერიის შესაბამისი სამსახურის საქმიანობას და აქვთ თუ არა კოლეგიალური ურთიერთობა? გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან აქვს კარგი ურთიერთობა, დაუგვიანებლად უგზავნიან ყოველთვიურ ინფორმაციას, კომისიის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს ითვალისწინებენ.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ საკრებულოს ერთ-ერთი წარმატებული მუდმივმოქმედი კომისიაა, მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლალი სიჭინავა**

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავა შეეკითხა თანამომხსენებელს -რა შეიცვალა სამსახურში მისი დანიშვნის შემდეგ? თვლით რომ წარმატებული სამსახურის უფროსი ხართ? ლ. სიჭინავამ უპასუხა, მიაჩნია რომ წარმატებული უფროსია, რაც არამარტო მისი, არამედ გუნდის დამსახურებაცაა. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ლ. სიჭინავა მართლაც წარმატებული სამსახურის უფროსია, რამაც გამოხატულება ჰპოვა მისი უშუალო ხელმძრვანელობით ორგანიზებულ და ჩატარებულ ღონისძიებებში. მუშაობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისაა და სოციალური სერვისების სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე**

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავა შეეკითხა თანამომხსენებელს -რა შეიცვალა სამსახურის მართვაში მისი დანიშვნის შემდეგ და რა სიახლეების დაანერგვას აპირებს? მ. ცელაძემ უპასუხა, რომ ცდილობს გუნდთან ერთად შეტანოს ცვლილებები სამსახურის მუშაობაში, ამ დროისათვის მოხერხდა სიახლეების შეტანა ზოგიერთ პროგრამებში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსახლეობის მომსახურების ხარისხი.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

14. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე**

მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ სამსახურმა შეტანა მნიშვნელოვანი სიახლეები მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ სამსახური რომელსაც ხელმძღვანელობს ხ. სურგულაძე-მუნიციპალიტეტისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია თუმცა რეალურად მუნიციპალიტეტებში სათანადოდ არაა გამოკვეთილი მათი საქმიანობა, როლი და ადგილი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების საქმეში, მაგრამ მას აქვს ერთგვარი წინაპირობა რომ წარმატებული გახადოს მერიის ეს სამსახური.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

15. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე**

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ დ. ჭაკნელიძემ ახალი საანგარიშო წლიდან შედარებით სერიოზულად გააუმჯობესა მუშაობა, თავად კი გახდა თავისი საქმის პროფესიონალი.

16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გოჩა აბაშმაძე**

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავა შეეკითხა გ. აბაშმაძეს-მისი დანიშვნის შემდეგ გაუმჯობესდა თუ არა მუშაობის ხარისხობრივი დონე? გ. აბაშმაძემ უპასუხა, რომ მისი დარგში საქმიანობის ხანგრძლივ პერიოდში მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა ყოველთვის ვითარდებოდ,ა მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ამ პროცესმა მიიღო უპრეცედენტო მასშტაბები და სერიოზულად გაუმჯობესდა ხარისხობრივად.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

17. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ბექა თოიძე**

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ბ. თოიძე ახალგაზრდა, მზარდი და პერსპექტიული პოლიტიკოსია, გაწეული

მუშაობა იმსახურებს დამაკმაყოფილებლად შეფასებას.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

18. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და შემადგენლობას გაწეული საქმიანობისათვის.

**19.** სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე